



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000061435925019

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 37

17 / სექტემბერი / 2019 წ.

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) 5 - ერთეული მიწის ნაკვეთის, ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვაზე თანხმობის მიცემისა და საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 122-ე მუხლის მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 22-ემუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა, და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ წ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) 5 -ერთეული მიწის ნაკვეთის, (საკადასტრო კოდი: 52.74.31.064 ; 50.30.31.081; 50.30.31.073; 50.30.31.080; 50.30.31.072.) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვა.
2. დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) 5- ერთეული მიწის ნაკვეთის, ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, (საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ი) შემდეგი ოდენობით:
 - სახნავი - ფართობით 200092,0კვ.მ, საკადასტრო კოდი-52.74.31.064 – 6503.0 ლარი
 - სახნავი - ფართობით 550133,0კვ.მ, საკადასტრო კოდი-50.30.31.081- 17054.0 ლარი
 - სახნავი - ფართობით 98077,0კვ.მ, საკადასტრო კოდი-50.30.31.073 – 3040.0-ლარი
 - სახნავი - ფართობით 137058,0კვ.მ, საკადასტრო კოდი-50.30.31.080 -4249.0-ლარი
 - სახნავი - ფართობით 92743,0კვ.მ, საკადასტრო კოდი-50.30.31.072 –3478 .0 ლარი
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 2 (ორი) წელი.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელემენტურულად 

თამარ ყვინიშვილი